

**შპს „IKMA GEORGIA“
ფინანსური ანგარიშგება**

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი


ფინანსური ანგარიშგება

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
განმარტებითი შენიშვნები	8
1. ზოგადი ინფორმაცია	8
<u>2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა</u>	8
3. მსჯელობები და განუსაზღვრელობის შეფასება	13
4. შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	13
5. გაწეული მომსახურების თვითღირებულება	13
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14
7. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	14
8. ძირითადი საშუალებები	15
9. საინვესტიციო ქონება	16
10. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი	16
11. ფული და ფულის ექვივალენტები	16
12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	17
13. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	17
14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	17

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2020 წ.	2019 წ.
შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	4	5,547,037	10,578,006
გაწეული მომსახურების/მიწოდებული საქონლის თვითღირებულება	5	-4,331,705	-6,959,491
საერთო მოგება		1,215,322	3,618,515
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	-948,493	-844,273
ფინანსური აქტივის გაუფასურების ხარჯი		-	-357,498
საკუროსო სხვაობიდან წმინდა შემოსავალი / (ხარჯი)	7	257,512	48,430
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	7	257,062	-
მოგება დაბეგვრამდე		781,413	2,465,174
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		781,413	2,465,174
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული შემოსავალი		781,413	2,465,174


დირექტორი




ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	11	2,262,131	1,934,268
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		1,962,747	2,195,297
სასაქონლო-მატერიალური			
ფასეულობები	10	4,799,574	3,431,676
გადახდილი ავანსები		1,414,275	738,735
სხვა მიმდინარე აქტივები	11	255,335	365,581
სულ მოკლევადიანი აქტივები		10,694,062	8,665,557
გრძელვადიანი აქტივები			
საინვესტიციო ქონება	9	937,960	991,474
ძირითადი საშუალებები	8	357,562	277,131
არამატერიალური აქტივები		3,180	1,521
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,298,702	1,270,126
სულ აქტივები		11,992,764	9,935,683
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		52,229	1,111,346
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის მიმართ		4,090	3,773
მიღებული ავანსები		7,814,758	5,586,341
საგადასახადო ვალდებულება		417,587	311,536
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		-	-
სულ ვალდებულებები		8,288,664	7,012,996
კაპიტალი			
მფლობელთა კაპიტალი		479	479
დაგროვილი მოგება/(ზარალი)		3,703,621	2,922,208
სულ კაპიტალი		3,704,100	2,922,687
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		11,992,764	9,935,683

დირექტორი






შპს „IKMA GEORGIA“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
2019 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	479	885,646	886,125
წმინდა მოგება	-	2,465,174	2,465,174
საწესდებო კაპიტალის შევსება	-	-	-
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
წლის სრული შემოსავალი	-	2,465,174	2,465,174
გაცემული დივიდენდი	-	-428,612	-428,612
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	479	2,922,208	2,922,687
წმინდა მოგება	-	781,413	781,413
საწესდებო კაპიტალის შევსება	-	-	-
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
წლის სრული შემოსავალი	-	781,413	781,413
გაცემული დივიდენდი	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	479	3,703,621	3,704,100

დირექტორი






ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება დაბეგვრამდე:		781,413	2,465,174
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	8,9	129,542	98,547
სხვა დანახარჯები (მოგება)		-514,574	-930,699
ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:		-	-
სავაჭრო მოთხოვნების შემცირება (ზრდა)		232,550	-646,523
გამოუმუშავებელი შემოსავალი ზრდა (შემცირება)		1,663,123	-1,212,653
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემცირება (ზრდა)		-1,367,898	502,399
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა (შემცირება)		-917,947	980,774
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		6,209	1,257,019
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	8	-140,553	-47,702
გაყიდვიდან მიღებული თანხა		561,406	-
საინვესტიციო ქონების შეძენა		-321,909	-434,089
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		98,944	-481,791
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გაცემული დივიდენდი		-	-428,612
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		-	-428,612
სავალუტო კურსის ეფექტი		222,710	-
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		327,863	346,616
ფული და ფულის ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	11	1,934,268	1,587,652
წმინდა ზრდა/(შემცირება) წლის განმავლობაში		327,863	346,616
31 დეკემბრის მდგომარეობით	11	2,262,131	1,934,268

დირექტორი




მოგება ბარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2020 წ.	2019 წ.
შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	4	5,547,037	10,578,006
გაწეული მომსახურების/მიწოდებული საქონლის თვითღირებულება	5	-4,331,705	-6,959,491
საერთო მოგება		1,215,322	3,618,515
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	-948,493	-844,273
ფინანსური აქტივის გაუფასურების ხარჯი		-	-357,498
საკურსო სხვაობიდან წმინდა შემოსავალი / (ხარჯი)	7	257,512	48,430
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	7	257,062	-
მოგება დაბეგვრამდე		781,413	2,465,174
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		781,413	2,465,174
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული შემოსავალი		781,413	2,465,174

დირექტორი

.....

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	11	2,262,131	1,934,268
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		1,962,747	2,195,297
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	10	4,799,574	3,431,676
გადახდილი ავანსები		1,414,275	738,735
სხვა მიმდინარე აქტივები	11	255,335	365,581
სულ მოკლევადიანი აქტივები		10,694,062	8,665,557
გრძელვადიანი აქტივები			
საინვესტიციო ქონება	9	937,960	991,474
ძირითადი საშუალებები	8	357,562	277,131
არამატერიალური აქტივები		3,180	1,521
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,298,702	1,270,126
სულ აქტივები		11,992,764	9,935,683
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		52,229	1,111,346
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის მიმართ		4,090	3,773
მიღებული ავანსები		7,814,758	5,586,341
საგადასახადო ვალდებულება		417,587	311,536
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		-	-
სულ ვალდებულებები		8,288,664	7,012,996
კაპიტალი			
მფლობელთა კაპიტალი		479	479
დაგროვილი მოგება/(ზარალი)		3,703,621	2,922,208
სულ კაპიტალი		3,704,100	2,922,687
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		11,992,764	9,935,683

დირექტორი

.....

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
2019 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	479	885,646	886,125
წმინდა მოგება	-	2,465,174	2,465,174
საწესდებო კაპიტალის შევსება	-	-	-
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
წლის სრული შემოსავალი	-	2,465,174	2,465,174
გაცემული დივიდენდი	-	-428,612	-428,612
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	479	2,922,208	2,922,687
წმინდა მოგება	-	781,413	781,413
საწესდებო კაპიტალის შევსება	-	-	-
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
წლის სრული შემოსავალი	-	781,413	781,413
გაცემული დივიდენდი	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	479	3,703,621	3,704,100

დირექტორი

.....

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება დაბეგვრამდე:		781,413	2,465,174
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	8,9	129,542	98,547
სხვა დანახარჯები (მოგება)		-514,574	-930,699
ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:		-	-
სავაჭრო მოთხოვნების შემცირება (ზრდა)		232,550	-646,523
გამოუმუშავებელი შემოსავალი ზრდა (შემცირება)		1,663,123	-1,212,653
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემცირება (ზრდა)		-1,367,898	502,399
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა (შემცირება)		-917,947	980,774
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		6,209	1,257,019
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	8	-140,553	-47,702
გაყიდვიდან მიღებული თანხა		561,406	-
საინვესტიციო ქონების შეძენა		-321,909	-434,089
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		98,944	-481,791
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გაცემული დივიდენდი		-	-428,612
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		-	-428,612
სავალუტო კურსის ეფექტი		222,710	-
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		327,863	346,616
ფული და ფულის ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	11	1,934,268	1,587,652
წმინდა ზრდა/(შემცირება) წლის განმავლობაში		327,863	346,616
31 დეკემბრის მდგომარეობით	11	2,262,131	1,934,268

დირექტორი

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „IKMA GEORGIA“ (შემდგომში - „კომპანია“) დაფუძნდა 2011 წელს, საიდენტიფიკაციო კოდი - 406052266, იურიდიული და ფაქტიური მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, გიორგი სააკაძის დალმართი, N 6, კომერციული ფართი, N10

კომპანია აწარმოებს ფინური ბრენდის „KONE“-ს ლიფტების, გერმანული ბრენდის „BKG“-ს მცირე სატვირთო ლიფტების და ესპანური ბრენდის „HIDRAL“-ის საავტომობილო ლიფტების და სატვირთო პლატფორმების დისტრიბუციას. დისტრიბუციას თან ახლავს სამონტაჟო საქმიანობებიც. ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ ორგანიზაცია ახორციელებს ობიექტებზე ლიფტების ტექნიკურ მომსახურებას.

კომპანიის დამფუძნებელი არის: შამილ კარიმოვ -100 %-ის წილის ფლობით.

დირექტორი: ნინო მიქაძე

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საშუალო დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს 38 თანამშრომელს (2019 წლის 31 დეკემბერს: 47 თანამშრომელს).

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომელზეც კომპანია გადავიდა 2018 წლის 1 იანვარს. მანამდე კომპანია ამზადებდა ფინანსურ ანგარიშგებას ადგილობრივი აღრიცხვის პრინციპების მიხედვით, რომელიც ზოგადად მიღებული იყო საქართველოში და ეფუძნებოდა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობას, თუმცა არ მოიცავს მნიშვნელოვან სააღრიცხვო პრინციპებსა და ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებს.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ორგანიზაციის მფლობელთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში.

კომპანია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. მენეჯმენტის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაა - ქართული ლარი.

შეფასების საფუძველი

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სააღრიცხვო პოლიტიკა

(ა) ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები ის პუნქტებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. თანხები, რომელთა გატანაც დეპონირებიდან სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ შეიძლება, არ მიეკუთვნება ფულს და ფულად ეკვივალენტებს. ფული და ფულადი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

(ბ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით ლარში აქტიური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(გ) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან სანარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს, ხოლო როდესაც მყიდველს გააჩნია საქონლის უკან დაბრუნების უფლება, კომპანია გადაავადებს შემოსავლის აღიარებას იმ დრომდე, სანამ საქონლის დაბრუნების ვადა არ ამოიწურება.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

(ა) შემოსავალი ლიფტების და სატვირთო პლატფორმების დისტრიბუციიდან.

შემოსავლები აღიარდება დარიცხვის მეთოდით ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

(ბ) საოპერაციო ხარჯები

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება.

(გ) სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის გახორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

	აშშ დოლარი USD	ევრო EUR
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით	2.8677	3.2095
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით	3.2766	4.0233

დაბეგვრა

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98¹-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

საწესდებო კაპიტალი და გადასახდელი დივიდენდები

მფლობელის კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლის გადაწყვეტილებით. გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მათი გამოცხადება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალების დასახელება	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა	20
მანქანა-დანადგარები	5-10
საოფისე აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალებები	5

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია ლიფტების დისტრიბუციასთან.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღ- იარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-ლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თა- ნხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

3. მსჯელობები და განუსაზღვრელობის შეფასება

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ხელმძღვანელობას არ დასჭირვებია გაეკეთებინა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, რომლებსაც ექნებოდათ არსებითი ზეგავლენა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებსა, ხარჯებზე და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე.

4. შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან

შემოსავალი რეალიზაციიდან წარმოადგენს: ლიფტების, მცირე სატვირთო ლიფტების, საავტომობილო ლიფტების და სატვირთო პლატფორმების დისტრიბუციას. დისტრიბუციას თან ახლავს სამონტაჟო საქმიანობებიც. ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ ორგანიზაცია ახორციელებს ობიექტებზე ლიფტების ტექნიკურ მომსახურებას.

შემოსავლები	2020 წელი	2019 წელი
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	4,793,354	9,838,505
შემოსავალი სამონტაჟო საქმიანობიდან	24,733	219,926
შემოსავალი მომსახურებიდან	495,839	463,586
სხვა შემოსავალი (საინვესტიციო ქონების იჯარა)	233,112	55,989
სულ:	5,547,037	10,578,006

5. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

ხარჯის დასახელება	2020 წელი	2019 წელი
მზა პროდუქცია	3,447,954	5,873,940
შრომის ანაზღაურება	852,605	1,066,462
დამატებითი მასალები	31,146	19,089
სულ	4,331,705	6,959,491

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ხარჯის დასახელება	2020 წელი	2019 წელი
	ლარი	ლარი
დასაქმებულთა ანაზღაურება	460,234	467,342
ცვეთა და ამორტიზაცია	129,542	98,547
სატრანსპორტო ხარჯი	24,548	69,478
მომსახურების ხარჯი	29,481	44,718
იჯარის ხარჯი	28,630	24,031
დაზღვევის ხარჯი	23,978	23,516
მარკეტინგის ხარჯი	31,447	21,782
მივლინების ხარჯი	9,087	20,823
კომუნიკაციის ხარჯი	8,291	11,141
საგადასახადო ხარჯი	109,423	10,665
საოფისე და სამეურნეო	2,494	9,546
ბანკის ხარჯი	27,397	12,413
საკონსულტაციო ხარჯი	33,968	10,982
სხვა საერთო ხარჯი	29,973	19,289
სულ	948,493	844,273

2020 წელს, კომპანიის სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი არ შეუცვლია და შეადგენს 357,498 ლარს, რაც გამოწვეულია 2019 წელს ფინანსური აქტივის გაუფასურების ხარჯის დარიცხვით სავაჭრო მოთხოვნებზე.

7. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)

	2020 წელი	2019 წელი
დასახელება	ლარი	ლარი
მოგება საკურსო სხვაობიდან	373,276	221,283
გარალი საკურსო სხვაობიდან	-115,764	-172,853
სულ ფინანსური შემოსავალი	257,512	48,430

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

8. ძირითადი საშუალებები

ღირებულება	შენიშვნები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვი ლობა	ავტო და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტ. საშ.	სულ
2019 წლის 1 იანვრის მდგომარ.	317,238	315,719	58,492	17,089	129,859	838,397
შეძენა	-	7,397	30,449	9,179	-	47,025
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბრის მდგ.	317,238	323,116	88,941	26,268	129,859	885,422
შეძენა	-	87,479	-	-	21,070	108,549
ჩამოწერა /გადატანა	-	(16,108)	(56,110)	-	1	(72,217)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგ.	317,238	394,487	32,831	26,268	150,930	921,754
ცვეთა და გაუფასურება						
2019 წლის 1 იანვრის მდგ.	(100,526)	(272,562)	(19,989)	(10,809)	(105,858)	(509,744)
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-
ცვეთა წლის მანძილზე	(58,598)	(12,541)	(12,838)	(4,020)	(10,550)	(98,547)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგ.	(159,124)	(285,103)	(32,827)	(14,829)	(116,408)	(608,291)
ჩამოწერა /გადატანა /კორექტირება/	83,679	3,262	15,024	595	2	102,562
ცვეთა წლის მანძილზე	(15,862)	(20,223)	(4,747)	(4,115)	(13,515)	(58,463)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგ.	(91,307)	(302,064)	(22,550)	(18,349)	(129,921)	(564,192)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
2019 წლის 31 დეკემბრის მდგ.	158,114	38,013	56,114	11,439	13,451	277,131
2020 წლის 31 დეკემბრის მდგ.	225,931	92,423	10,281	7,919	21,009	357,562

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

9. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება აღიარებულია ბასს 40-ის შესაბამისად. საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება წარმოდგენილია თვითღირებულების მოდელით.

საინვესტიციო ქონება	31.12.2020	სასარგებლო მომსახურების ვადა / ცვეთის მეთოდი	31.12.2019	სასარგებლო მომსახურების ვადა / ცვეთის მეთოდი
შენობა	994,785	20 წელი	1,034,546	20 წელი
აღჭურვილობა	30,923	5 წელი	55,968	5 წელი
აკუმულირებული ცვეთა	-87,748	ნრფივი	-99,039	ნრფივი
სულ:	937,960		991,474	

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება შეესაბამება თვითღირებულების მოდელით აღიარებულ საბალანსო ფასებს.

10. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი

	ლარი	ლარი
დასახელება	31.12.2020	31.12.2019
მზა პროდუქცია	3,447,954	5,873,940
შრომის ანაზღაურება	852,605	1,066,462
დამატებითი მასალები	31,146	19,089
სულ:	4,331,705	6,959,491

11. ფული და ფულის ექვივალენტები

	ლარი	ლარი
დასახელება	31.12.2020	31.12.2019
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშზე	2,192,261	1,784,757
ეროვნული ვალუტა საბანკო ანგარიშზე	69,870	149,511
სულ:	2,262,131	1,934,268

შპს „IKMA GEORGIA“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

	ლარი	ლარი
სხვა მიმდინარე აქტივები	31.12.2020	31.12.2019
შეზღუდული ფული	255,335	365,581
სულ	255,335	365,581

კომპანიის საბანკო ანგარიშებზე 2020 წლის ბოლოს ერიცხება შეზღუდული ფული 255,334 ლარი (2019 წელი: 365,581 ლარი), რომელიც შპს ანაგი-ს მიმართ ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით განთავსებული იყო სს „თიბისი ბანკში“ ბლოკირებულ ანგარიშზე.

12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანიას საანგარიშო პერიოდის შემდგომ არ ქონია მნიშვნელოვანი მოვლენები.

13. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

კომპანიას არ აქვს.

14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 10 ივლისს